01/05/2026

MES 2 26 0000517330

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 21 აპრილს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84492175075
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ვასაძე
ლია ხარებავა
თეა ბარამაშვილი
დავით ბიტმალკიშევი
თორნიკე თუთარაშვილი
ინგა კალანდაძე
მაია ხურცილავა
ბექარ კილასონია
შალვა ზაზაძე
ალექსანდრე კეკენაძე
დავით კუპატაძე
ნანა შარაბიძე
ზურაბ მესხიძე
ტიტე ბოლქვაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სქილვილ
დირექტორი – გიორგი მარიამიძე;
დირექტორის მოადგილე – ქეთევან ციხისელი;
აკადემიური დირექტორი – კონსტანტინე შუბითიძე;
ხარისხის მართვის გუნდის უფროსი – ნინო ხითარიშვილი;
ბათუმის ფილიალის მენეჯერი – ზაირა ბერიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 14:08 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,გრაფიკული დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,Front end დეველოპმენტი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აღმზრდელი" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (თბილისი);
7. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (თბილისი);
8. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ბათუმი);
9. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ბათუმი);
10. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ბათუმი);
11. შპს "სქილვილისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საწყობის ოპერირება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ბათუმი);

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს და განმარტა, რომ ვინაიდან შპს „სქილვილის“ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები თემატურად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, სხდომის დროის ოპტიმიზაციისა და პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დაჯგუფება და გაერთიანებულად წარდგენა, კერძოდ: პირველიდან მე-5 საკითხის ჩათვლით ერთად განხილვა, (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ); მე-6 და მე-7 საკითხების (ქ. თბილისში ახალი პროგრამების დამატების შესახებ) ერთად განხილვა; ხოლო მე-8-დან მე-11 საკითხის ჩათვლით (ქ. ბათუმში ახალი პროგრამების დამატების შესახებ) ერთად განხილვა, საკითხების ასეთი განრიგით განხილვის დამატებითი არგუმენტი ისიცაა, რომ სწორედ ამ სახითაა წარმოდგენილი ცენტრში ექსპერტთა დასკვნები, დააზუსტა სამსახურის უფროსმა.

საბჭო დაეთანხმა აღნიშნულს.

განახლებული დღის წესრიგი:

1. შპს ,,სქილვილისათვის" ,,გრაფიკული დიზაინის", ,,Front-end პროგრამირების“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების

რაოდენობის გაზრდის და აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხების განხილვა;
2. შპს ,,სქილვილისათვის " ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" და ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ თბილისის ლოკაციაზე საკითხების განხილვა;
3. შპს ,,სქილვილისათვის" ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე საკითხების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის მიმართ 2025 წლის 14 აგვისტოს მიღებულ №986102 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. მან განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დანართში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, პროგრამის პარამეტრებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად, 40-ის ნაცვლად, შეცდომით მიეთითა 30. დაწესებულებამ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩინა საგაზაფხულო მიღების გამოცხადების დაგეგმვის პროცესში და ოფიციალური წერილით მიმართა ცენტრს. წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, მომზადდა ცვლილების პროექტი. ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თხოვნით, რომ ზღვრული რაოდენობა 30-ის ნაცვლად ჩასწორდეს და მიეთითოს 40.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნული შუამდგომლობა დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 14 აგვისტოს №986102 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილი.

სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები გიორგი ვეკუა და გოჩა გოგიტიძე.

პირველი საკითხი: შპს ,,სქილვილისათვის " ,,გრაფიკული დიზაინის", ,, Front-end პროგრამირების“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის და აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
აღნიშნული საკითხები სხდომაზე გაერთიანებული სახით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ვასაძემ. იგი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის N189397 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს, ,,გრაფიკული დიზაინის", ,,Front end დეველოპმენტის", ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ბ.ბ" და ,,ბ.დ" კომპონენტ თან ,,გრაფიკული დიზაინის", ,,Front end დეველოპმენტის", ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; რამდენადაც, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება მოახდინა,

ბრძანებით განისაზღვრა, აგრეთვე, დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,დ.ა" და ,,დ.ბ" კომპონენტთან და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ე.ა" და ,,ე.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაგეგმილ ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 5-ივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა შპს ,,სქილვილ"-ში 2026 წლის 4 და 5 მარტს, მისამართი: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. No16. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა შპს „სქილვილ“-ის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, აკადემიურ დირექტორს, ხარისხის მართვის გუნდის უფროსს, ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულ პერსონალს კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალური რესურსი, საერთო სარგებლობის სივრცეები, A გარემოს სივრცეები, A-B გარემოს სივრცეები, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და ციფრული ბიბლიოთეკა, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „სქილვილ“ აქტიურად იყენებს ინოვაციურ ციფრულ ინსტრუმენტებს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციისა და მონაცემთა ეფექტიანი დამუშავების მიზნით. ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მომუშავე დეველოპერები მუდმივად ზრუნავენ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებ ის ავტომატიზაციასა და გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით გამოიყენება პლატფორმა Zapier, რომელშიც ინტეგრირებულია AI აგენტები. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს კვლევითი მონაცემების დამუშავებას, ვაკანსიების შესაბამის კანდიდატთა CV-ების პირველად შერჩევას, ასევე სტუდენტებისთვის პროფესიონალური CV-ების გენერირებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროცესების ეფექტიანობასა და რესურსების უფრო ოპტიმალურ გამოყენებას. დაწესებულების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (Information and Communication Technologies – ICT) მიმართულების სტრატეგიული განვითარება. კოლეჯი აღნიშნულ სფეროს განსაზღვრავს როგორც პრიორიტეტულ მიმართულებას და აქტიურად მუშაობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. ამ მიზნით, დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ICT მიმართულებით ახალი პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ინიცირებასა და განვითარებას. აღნიშნული ხედვის ფარგლებში, დაწესებულებამ დააინიცირა შემდეგი მიმართულებების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება: 1. IT პროექტების მართვა; 2. მონაცემთა მართვა; 3. პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება; 4. ციფრული მარკეტინგი; 5. ხელოვნური ინტელექტის დეველოპმენტი. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიულ მიდგომას პროფესიული განათლების განვითარებაში და ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინოვაციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების განვითარებისთვის.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმას ქ. N16-ში მდებარე შენობის მატერიალური რესურსებით აღჭურვა.
5.1.1.11. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა.
5.1.2.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
5.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმას ქ. N16-ში მდებარე შენობის საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა.
2.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ბოჭორმას ქ. N16-ში ხუთივე პროგრამის განხორციელებისთვის სივრცეების საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშრებით აღინიშნა, რომ კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება 2025 წლის 19 სექტემბრის №00017631 დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებსა და მათ ფუნქციებს. მართვის იერარქია მოიცავს დირექციას, ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის, კარიერული განვითარებისა და სხვა სპეციალიზებულ გუნდებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დამოუკიდებელია და სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციურ გამჭვირვალობას.
დაწესებულებაში დასაქმებული 30 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სამუშაო აღწერილობებში, რაც ექსპერტთა თქმით, თანამშრომლებისთვის კარგად არის ცნობილი და უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის ეფექტიანობას. პერსონალის მართვის პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება როგორც შინაგანაწესით, ისე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. დოკუმენტაცია მოიცავს ყველა არსებით პირობას, მათ შორის სამუშაო აღწერილობებს, ანაზღაურების წესსა და კონფიდენციალურობის საკითხებს. პერსონალის შერჩევის პროცესი ხასიათდება ობიექტურობითა და გამჭვირვალობით, რაც ხორციელდება შიდა და გარე რესურსების გამოყენებით, კონკურსის ან რეკომენდაციების საფუძველზე.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემას. კოლეჯში დანერგილია საქმიანობის ყოველწლიური შეფასების მექანიზმი, რომელიც იყენებს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კვლევებს საჭიროებების დასადგენად. აღსანიშნავია 2025 წელს განხორციელებული ტრენინგების ციკლი, რომელიც მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით. დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომლების კარიერულ წინსვლას და ახალისებს მათ ინიციატივებს პროფესიული გადამზადების კუთხით, რაც სამუშაო საათებში ანაზღაურებად აქტივობად ითვლება.
ახალი თანამშრომლებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს ინტეგრაციის სპეციალური ერთთვიანი გეგმა, რომელსაც კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ეს პროცესი მოიცავს ორგანიზაციის მისიის, ღირებულებებისა და სტრუქტურის გაცნობას, აგრეთვე გუნდში ადაპტაციასა და საჭირო რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას. ექსპერტთა შეფასებით, მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები რეალურად არის

დანერგილი ყოველდღიურ პრაქტიკაში, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირებითა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობით.

მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, კოლეჯი ფლობს ფართს ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩა №16-ში, სადაც 3599.4 კვ.მ. ფართი აღებულია ქვეიჯარით 6 წლის ვადით. მიუხედავად იმისა, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულების სტადიაშია, ვიზიტის მომენტში შენობა არ იყო სრულად აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც 2026 წლის 20 აგვისტომდე ითვალისწინებს მატერიალური ბაზის სრულყოფას, რის გამოც აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისად შეფასდა.
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა კოლეჯში სათანადოდ არის დარეგულირებული. იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ ფართის დასუფთავებასა და ჰიგიენაზე პასუხისმგებელია მეიჯარე, თუმცა კოლეჯს თავადაც ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი პერსონალი. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით, ხოლო სანიტარული კვანძები ადაპტირებულია მათ შორის შშმ პირებისთვისაც. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, რაც ქმნის ადეკვატურ გარემოს საგანმანათლებლო პროცესისთვის. ასევე გამართულია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიცირებული სპეციალისტების ჩართულობითა და პერსონალის ინსტრუქტაჟით.
უსაფრთხოების კომპონენტში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო შენობის ტექნიკურ მდგრადობასა და სახანძრო უსაფრთხოებას. წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს შენობის საექსპლუატაციო უსაფრთხოებას. თუმცა, ვინაიდან ვიზიტისას არ იყო წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს საბოლოო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით, გაიცა რეკომენდაცია ამ დოკუმენტის 2026 წლის 20 აგვისტომდე მოპოვების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უკვე შეთანხმებულია შესაბამის სამსახურთან. რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას, კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური ექიმი და უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების მარაგი, ხოლო წესრიგის დაცვა პერიმეტრზე ხორციელდება 24-საათიანი დაცვისა და ვიდეომონიტორინგის სისტემით.
საინფორმაციო რესურსების ნაწილში კოლეჯი აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალ მისამართზე IT ინფრასტრუქტურის საბოლოო მოწყობა აგვისტომდეა დაგეგმილი, დაწესებულებას უკვე დანერგილი აქვს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და IT რისკების მართვის პოლიტიკა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება სპეციალიზებულ ოფიცერთან, რომელიც მონიტორინგს უწევს მონაცემთა დამუშავების პროცესს. საკომუნიკაციო სისტემები, როგორიცაა LMS პლატფორმა და კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უწყვეტ ინფორმირებულობას. საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული სისტემა Eflow-ს გამოყენებით, რაც დოკუმენტბრუნვას უფრო ეფექტურსა და გამჭვირვალეს ხდის.
საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით შპს „სქილვილს“ აქვს ოფიციალური ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სოციალური ქსელები და საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიურად განახლებადი კატალოგი უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც 2025-2032 წლების გეგმით არის განსაზღვრული, ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის

პრიორიტეტულობას. დაწესებულება სისტემურად აანალიზებს სხვადასხვა არხებით მიღებულ უკუკავშირს და იყენებს მას ხარისხის მართვის პროცესში, რაც საბოლოო ჯამში მიმართულია სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებისკენ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – Front-end პროგრამირება

პროგრამა „Front-end პროგრამირება“ (კოდი 0612) არის მეოთხე დონის და იგი მიზნად ისახავს აღნიშნულ სფეროში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩის №16-ში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის 90 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი მეტწილად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 400 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რომელთა სწავლებაც რვა ჯგუფად, ორ ცვლაში (მათ შორის, ნაწილი დასწრებული, ხოლო ნაწილი დისტანციური ფორმატით) განხორციელდება. მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან (მე-2 სტანდარტი) პროგრამის შესაბამისობა შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პასუხობს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მოიცავს თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილ A, B და C გარემოებს. ვინაიდან დაწესებულების ახალ მისამართზე ინფრასტრუქტურის მოწყობა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დასრულების ეტაპზე იმყოფებოდა, შპს „სქილვილმა“ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში სრულად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით სასწავლო სივრცეების საბოლოო აღჭურვა, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

პროგრამის მდგრადობა და განხორციელების ხარისხი მყარად არის უზრუნველყოფილი სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით. გაზრდილი კვოტის მომსახურების მიზნით, 14 მოქმედი განმახორციელებლის გარდა, კოლეჯმა დამატებით ხუთი სპეციალისტი მოიზიდა, რაც თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი პედაგოგის არსებობას და პროცესის შეუფერხებლობას უწყობს ხელს. ამასთან, პროგრამას ხელმძღვანელობს ღია კონკურსის წესით შერჩეული, მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. რენტაბელობის ზღვარი არის 20 სტუდენტი.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ და ინტერაქტიულ მიდგომებს, სადაც აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლების პლატფორმები (მათ შორის, უზრუნველყოფილია Zoom-ის ოფიციალური ექაუნთები) და უახლესი მასალებით დაკომპლექტებული ელექტრონული ბიბლიოთეკა. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რასაც ადასტურებს LMS სისტემაში ინდივიდუალური კონსულტაციების დაჯავშნის ფუნქციონალი. უსაფრთხო გარემოში მიმდინარე სასწავლო პროცესი ასევე სრულად არის ადაპტირებული ინკლუზიური განათლებისთვის; საჭიროების დადგომისას, კოლეჯი მზად არის უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა (ისგ) და ადაპტირებული რესურსებით სწავლება.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. შეფასების ინსტრუმენტების სანდოობას უზრუნველყოფს შიდა რეგულაციები და ვალიდაციის მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე პირველი ნაკადის მიღება 2025 წლის შემოდგომაზე განხორციელდა, ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამოქმედო გეგმით, ვერიფიკაციის პროცესის პირველი ეტაპი უკვე დაგეგმილია 2026 წლის ივნის-ივლისში. შეფასების შედეგები და დაკავშირებული

მტკიცებულებები საიმედოდ ინახება სამი წლის ვადით და აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და მხარდამჭერი აქტივობების დასაგეგმად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – გრაფიკული დიზაინი

პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ (კოდი 0211) არის მეოთხე დონის, იგი მიზნად ისახავს დარგში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩის №16-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 88 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 118 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 460 პირის ოდენობით განსაზღვრას, რაც მოიცავს როგორც სააუდიტორიო (240 სტუდენტი), ისე დისტანციური სწავლების (220 სტუდენტი) კომპონენტებს. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობა ჯამურად შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისას აღინიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის სრულად გადატანას ბოჭორმას ქუჩის №16-ში მდებარე ახალ ფართში, სადაც ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ვინაიდან ვიზიტის პერიოდში ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების ეტაპზე იყო, კოლეჯმა წარადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს ახალი მისამართის სრული აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ჯამში 42 მასწავლებელს აერთიანებს, მათ შორის 36 დარგობრივი მიმართულებით. კვოტის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ დამატებით მოიზიდა 10 სპეციალისტი, რაც თითოეულ მოდულზე ორი ან მეტი განმახორციელებლის არსებობას და სასწავლო პროცესის უწყვეტობას უზრუნველყოფს. პროგრამას ხელმძღვანელობს მრავალწლიანი დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც თავად უძღვება რვა პროფესიულ მოდულს. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია; ვაუჩერული დაფინანსების მოდელი და 20 სტუდენტზე გათვლილი რენტაბელობის ზღვარი იძლევა საოპერაციო ხარჯების დაფარვისა და განვითარების შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს ინტერაქტიული მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას. სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და სპეციალიზებულ სასწავლო პლატფორმაზე, სადაც ქართულენოვანი რესურსები სრულად არის ინტეგრირებული. დისტანციური სწავლებისას გამოიყენება ისეთი თანამედროვე პლატფორმები, როგორიცაა Zoom და Slack, ხოლო LMS სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერასა და კონსულტირებას. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ პირთა საჭიროებებზე, რაც დადასტურებულია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების მექანიზმებით.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ეყრდნობა ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტები გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო ხარისხის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცედურებს, რომელთა პირველი ეტაპი 2026 წლის ივნის-ივლისშია დაგეგმილი. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების საიმედო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (კოდი 0612) შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს. იგი ორიენტირებულია საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩის №16-ში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 87 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 117 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 240 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც მოიცავს ექვს სასწავლო ჯგუფს და ორცვლიან სწავლებას. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობა ჯამურად შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

მატერიალური რესურსების კომპონენტში აღინიშნა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის წარმართვას გეგმავს ახალ მისამართზე, სადაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულების პროცესშია, კოლეჯმა წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უნდა უზრუნველყოს სასწავლო სივრცეების (A, B და C გარემოები) სრული აღჭურვა სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკითა და ინვენტარით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების მდგრადობა გარანტირებულია ადეკვატური ადამიანური რესურსით, რაც მოიცავს 7 დარგობრივი და 9 ზოგადი მოდულის განმახორციელებელ მასწავლებელს. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა მინიმუმამდე დაყვანის სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. პერსონალის სამუშაო დატვირთვა შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებთან. მართვის ხარისხის გაძლიერების მიზნით, კოლეჯმა განახორციელა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება; შერჩეული კადრი ფლობს სათანადო დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციას, რაც დადასტურდა პირადი საქმეების შესწავლისა და ინტერვიუირების საფუძველზე. რენტაბელობის ზღვარი არის 20 სტუდენტი, რაც ვაუჩერული დაფინანსების პირობებში ოპერატიული ხარჯების სრულ დაფარვას უზრუნველყოფს.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს ინტერაქტიული მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა, ვიდეო ლექციები და მოდულების სპეციფიკის შესაბამისი ქართულენოვანი რესურსები. დისტანციური სწავლების ეფექტიანობისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს Zoom-ის ლიცენზირებული ექაუნთები, ხოლო LMS სისტემა იძლევა სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებისა და მხარდამჭერი კონსულტაციების დანიშვნის შესაძლებლობას. სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ პირთა საჭიროებებზე, რაც რეგულირდება შიდა ინსტრუქციებითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების მექანიზმებით.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. შეფასების ინსტრუმენტები გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო ხარისხის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცედურებს, რომელთა განხორციელება 2026 წლის ივნის-ივლისშია დაგეგმილი. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ბუღალტრული აღრიცხვა

„ბუღალტრული აღრიცხვა“ არის მეხუთე დონის პროგრამა (კოდი 0411) და იგი მიზნად ისახავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა

ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩის №16-ში, ძირითადად დისტანციურ რეჟიმში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 99 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 129 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 400 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც გამყარებულია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და მეთოდოლოგიური რესურსებით. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობა შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

მატერიალური რესურსების შეფასებისას ხაზი გაესვა პროგრამის სპეციფიკას, რომელიც სრულად დისტანციურ სწავლებას ითვალისწინებს, გარდა „მეწარმეობის“ მოდულისა. ამ უკანასკნელისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი A გარემო 40 სტუდენტზე გათვლილი ინვენტარით. დისტანციური კომპონენტის მდგრადობას უზრუნველყოფს 36 ერთეული Zoom-ის ლიცენზირებული ექაუნთი და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. ვინაიდან ახალ მისამართზე სარემონტო სამუშაოები დასრულების პროცესშია, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უნდა უზრუნველყოს ბოჭორმას ქუჩის №16-ში მატერიალური რესურსის სრული განთავსება და ინფრასტრუქტურის საბოლოო მოწესრიგება.

ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამა უზრუნველყოფილია 37 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა სიმრავლე (26 პირი), რაც თითოეულ მოდულზე 6-დან 11-მდე მასწავლებლის განაწილების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამის მდგრადობას ასევე უწყობს ხელს სასწავლო გეგმის სტრუქტურა, რომელიც მოდულების თანმიმდევრულ ათვისებასა და შედეგების ეტაპობრივ დადასტურებას გულისხმობს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს მოდულების მოდიფიცირებასა და სასწავლო რესურსების შერჩევას.

სასწავლო პროცესი დაგეგმილია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, რაც სწავლების ინტერაქტიული მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას ეფუძნება. სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და ციფრულ კატალოგზე, რომელიც მუდმივად ახლდება დარგის განვითარების კვალდაკვალ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შესყიდული აქვს „საკანონმდებლო მაცნეს“ მომსახურება, რაც ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი რესურსია. პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს შპს „ადვექს აკადემიასთან“, რაც დამატებითი პერსონალის მოზიდვისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა. გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ პირთა საჭიროებებზე, რაც რეგულირდება შიდა ინსტრუქციებითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების მექანიზმებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – აღმზრდელი

შპს „სქილვილის“ მიერ წარმოდგენილი მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ (კოდი 0112) ორიენტირებულია სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. ადგილმდებარეობა არის ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩის №16-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, კოოპერაციული სწავლების ფორმატით, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიღებას იმიტირებულ გარემოში და პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო პირობებში განხორციელებას. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის მოდულის ჩათვლით, იგი 146 კრედიტით არის განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაუჭირა მხარი დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 95 პირის ოდენობით

განსაზღვრის თაობაზე, რაც ორცვლიანი სწავლების პირობებში სრულ შესაბამისობაშია არსებულ რესურსებთან.
მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კომპონენტში აღინიშნა, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის წარმართვას გეგმავს ახალ მისამართზე, სადაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვინაიდან ინფრასტრუქტურის საბოლოო მოწყობა დასრულების ეტაპზეა, კოლეჯმა წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა სავალდებულო რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში უნდა უზრუნველყოს ბოჭორმას ქუჩის №16-ში სასწავლო სივრცეების სრული აღჭურვა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. პრაქტიკული კომპონენტის მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაცნობითი და პროექტზე დაფუძნებული პრაქტიკა შესაბამის სააღმზრდელო დაწესებულებებში გაიარონ.
პროგრამის მდგრადობა და ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება კომპეტენტურ ადამიანურ რესურსს, რაც მოიცავს დარგობრივი მოდულების 10 კვალიფიციურ განმახორციელებელს. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს, ხოლო პერსონალის სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებს. პროგრამას ხელმძღვანელობს სათანადო დარგობრივი და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც შერჩეულია გამჭვირვალე კონკურსის წესით. მართვის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული ხელმძღვანელის ცვლილება ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც პოზიტიური ნაბიჯი მენეჯმენტისა და ხარისხის მართვის გაუმჯობესებისკენ. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია; ვაუჩერული დაფინანსების მოდელი და 15 სტუდენტზე განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვასა და პროგრამის განვითარებას.
სასწავლო პროცესი ორგანიზებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას. სტუდენტებს აქვთ წვდომა მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და ციფრულ კატალოგზე, სადაც ქართულენოვანი რესურსები სრულად არის ინტეგრირებული. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე, რასაც ადასტურებს სასწავლო ცხრილების შედგენისას მათი საჭიროებების გათვალისწინება და LMS სისტემის მეშვეობით ინდივიდუალური კონსულტაციების დანიშვნის შესაძლებლობა. გარემო სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა მოთხოვნებზე, რაც დადასტურებულია შესაბამისი შიდა რეგულაციებითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების მექანიზმებით.
ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. შეფასების ინსტრუმენტები გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო ხარისხის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცედურებს, რომელთა პირველი ეტაპი 2026 წლის ივნის-ივლისშია დაგეგმილი. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს ჰქონიათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. იგი დაინტერესდა, თუ რას ემყარებოდა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ადგილების

რაოდენობის მნიშვნელოვან (რიგ შემთხვევებში გაორმაგებულ) ზრდასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო იმ არგუმენტაციის მოსმენა, რაც კვოტების მკვეთრ მატებას განაპირობებდა. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, განმარტა, რომ კვოტის გაზრდის მოთხოვნა ეფუძნება სტუდენტთა მაღალ მომართვიანობას, დაწესებულების მიერ მანამდე არსებული ადგილები ფაქტობრივად სრულად იყო ათვისებული და ფიქსირდებოდა მზარდი მოთხოვნა აპლიკანტების მხრიდან. ასევე, მან ხაზი გაუსვა შრომის ბაზრის ანალიზს, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, განაცხადს საფუძვლად უდევს 2024 წელს განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის ვალიდური მონაცემები, რაც ადასტურებს მოთხოვნას შესაბამისი პროფილის კადრებზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსი უფრო მეტი სტუდენტის მისაღებადაც კი, თუმცა „სქილვილმა“ ამ ეტაპზე ოპტიმალური ზრდის პრინციპი აირჩია. მაგალითად, რიგ პროგრამებზე ადგილების რაოდენობა მხოლოდ 15-ით გაიზარდა, რათა შენარჩუნებული იყოს ხარისხი და რესურსების დაბალანსებული გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,სქილვილისათვის" ,,გრაფიკული დიზაინის", ,,Front-end პროგრამირების“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის და აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის და აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, შპს ,,სქილვილს“(ს/კ: 406258730) გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ,,გრაფიკული დიზაინის", ,,Front-end პროგრამირების,“ ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების", ,,აღმზრდელის" და ,,ბუღალტრული აღრიცხვის" ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და აღნიშნული პროგრამების განხორციელების ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16 **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა საბჭოს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს სხდომის ჩატარების დღე – 2026 წლის 21 აპრილი. მან განმარტა, რომ აღნიშნული აუცილებლობა გამოწვეულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო მიღების ფარგლებში ანკეტა - კითხვარის შევსების დაწყების თარიღთან (2026 წლის 1 მაისი) დაკავშირებით, შემჭიდროებულ

ვადაში (27 აპრილი) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობით. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის სხდომის დღესთან გათანაბრება უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესების ოპტიმალურად დასრულებას. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ 2026 წლის 21 აპრილის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „სქილვილში“ (მისამართი: ქ. თბილისი ბოჭორმას ქ. №16) შემდეგ კომპონენტებსა და ინდიკატორებში: 5.1. კომპონენტში (მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა, შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის წარმოდგენა) და 5.2. კომპონენტში (საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა). ასევე, 2.2. კომპონენტში მონიტორინგი შეეხება დაწესებულების ხუთივე პროგრამას - ,,გრაფიკული დიზაინი", ,,Front-end პროგრამირება,“ ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები", ,,აღმზრდელი" და ,,ბუღალტრული აღრიცხვა" (პროგრამის განხორციელებისთვის სივრცეების საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.

მეორე საკითხი: შპს ,,სქილვილისათვის" ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" და ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ თბილისის ლოკაციაზე საკითხების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
აღნიშნული საკითხები სხდომაზე გაერთიანებული სახით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბექარ კილასონიამ. იგი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო

განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №189388 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 6 მარტს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „სქილვილში“ მისამართზე ქ. თბილისში, ბოჭორმას ქ. №16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა დაწესებულების ადმინისტრაციასთან და განიხილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, შრომის ბაზრის ანალიზი, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და პროგრამებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე, შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების, პერიოდული განახლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, ასევე სასწავლო პროცესის განხორციელების მიდგომები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. ყურადღება გამახვილდა პერსონალის რაოდენობასა და სამუშაო დატვირთვაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შესაბამის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგრადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრება გაიმართა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა პროგრამების შინაარსობრივი, ორგანიზაციული და განხორციელების პრაქტიკული საკითხები. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათის საჭირო აუდიტორიები. ასევე შეისწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი და მატერიალური რესურსების ფლობის ან/და კანონიერ სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხებზე გასაუბრება გაიმართა შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და არ გაცემულა განმავითარებელი რეკომენდაციები.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების სრულყოფილად უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ (კოდი 0613) წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონის პროგრამას, რომლის მიზანია პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების სფეროსთვის მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №1782 ბრძანებით და ხორციელდება ქალაქ თბილისში, ბოჭორმას ქუჩა №16-ში, იმიტირებული სამუშაო გარემოს

ფორმატში. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 90 კრედიტით (19 თვე), ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მხარდაჭერის მოდულების გათვალისწინებით, იგი 120 კრედიტს შეადგენს (24 თვე). ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 240 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნული კვოტა ეფუძნება მოქნილ საორგანიზაციო მოდელს, რაც მოიცავს 80 სტუდენტის დასწრებულ სწავლებას ორ ცვლაში და 160 ადგილს დისტანციური სწავლების ფორმატისთვის.
პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესი სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას. დასაბუთების პროცესში გამოყენებულია ისეთი წყაროები, როგორიცაა საქართველოს განვითარების სტრატეგია „ხედვა 2030“, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანალიტიკური მასალები და Eurostat-ის მონაცემები. კვლევებმა დაადასტურა ICT სექტორში კვალიფიციური კადრების მზარდი დეფიციტი და დარგის მაღალი რენტაბელობა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც ვალიდურია სწავლის შედეგების მისაღწევად. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის პირველი კომპონენტი (დაგეგმვა და შემუშავება) ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც სტანდარტთან სრულად შესაბამისი, რაც ადასტურებს პროგრამის სტრუქტურულ გამართულობასა და რელევანტურობას.
მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კომპონენტში პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა ინფრასტრუქტურის სრულყოფის საჭიროება, რის საპასუხოდაც დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, კოლეჯმა 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უნდა დაასრულოს სასწავლო სივრცეების სრული აღჭურვა სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკითა და ინვენტარით. მიუხედავად ამისა, არსებული რესურსები, მათ შორის ინტერაქციული დაფები და ელექტრონული ბიბლიოთეკა, უკვე ქმნის სათანადო ბაზას სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის მდგრადობა გარანტირებულია კვალიფიციური პერსონალით, რაც მოიცავს 23 მასწავლებელს (10 ზოგადი და 13 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი). პერსონალის დატვირთვა შეესაბამება შრომის კოდექსს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის მოქმედი სპეციალისტი სათანადო გამოცდილებით.
ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა ხასიათდება მდგრადობით. საპროგნოზო ბიუჯეტი 240 სტუდენტის პირობებში 1,315,200 ლარს შეადგენს, საიდანაც შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 42.7%) მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 20 სტუდენტზე გადის, რაც მინიმუმამდე დაყვანის ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს სტაბილურ ფუნქციონირებას მცირე კონტინგენტის შემთხვევაშიც. სასწავლო პროცესი ეყრდნობა თანამედროვე ციფრულ პლატფორმებს (LMS და Zoom) და ორიენტირებულია პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე.
ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობისა და სანდოობის კრიტერიუმებს. დაწესებულებაში დანერგილია ვერიფიკაციის მრავალეტაპიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების კონტროლს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მონაცემთა აღრიცხვისა და შენახვის სისტემა უზრუნველყოფს მტკიცებულებების დაცვას 3 წლის ვადით. პროგრამის განვითარების მექანიზმი ითვალისწინებს მუდმივ უკუკავშირს დამსაქმებლებისგან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან, რაც იძლევა სასწავლო გეგმის პერიოდული განახლებისა და ტექნოლოგიურ სიახლეებთან ადაპტაციის შესაძლებლობას. სასწავლო გარემო ასევე სრულად არის მორგებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (კოდი 0612) წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონის პროგრამას, რომლის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება. პროგრამა დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №1782 ბრძანებით და მისი განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი, ბოჭორმას ქუჩა №16. სასწავლო პროცესი წარიმართება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 55 კრედიტით (10 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 70 კრედიტს შეადგენს (13 სასწავლო თვე), რაც მოიცავს ქართული ენის მხარდამჭერ მოდულს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 400 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც ეფუძნება ხუთი სასწავლო აუდიტორიის რესურსს, ორცვლიან სწავლებასა და ჯგუფებში სტუდენტთა რაციონალურ განაწილებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს შრომის ბაზრის კომპლექსური ანალიზი, რომელიც ეყრდნობა საქსტატის, Eurostat-ის, Gartner-ისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მონაცემებს. კვლევის შედეგად დადასტურდა ICT სექტორის გლობალური და ეროვნული ზრდის ტენდენცია, კვალიფიციურ კადრებზე მზარდი მოთხოვნა და დარგში არსებული მაღალი სახელფასო მაჩვენებლები. პროგრამის შინაარსი, რომელიც მოიცავს აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, ქსელურ სისტემებსა და უსაფრთხოების საკითხებს, სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც ვალიდურია სწავლის შედეგების მისაღწევად.

მატერიალური რესურსების კომპონენტში პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იდენტიფიცირდა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროება, რისთვისაც დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმა. ამ დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯმა 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უნდა უზრუნველყოს სასწავლო სივრცეების სრული აღჭურვა აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით. პროგრამის მდგრადობა გარანტირებულია ადეკვატური ადამიანური რესურსით, რაც მოიცავს 36 კვალიფიციურ მასწავლებელს, საიდანაც 18 ზოგადი, ხოლო 18 პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. პერსონალის კომპეტენცია დადასტურდა პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუირების საფუძველზე, ხოლო მათი სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებს.

ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა ხასიათდება მდგრადობით. საპროგნოზო ბიუჯეტი 400 სტუდენტის პირობებში შეადგენს 2,078,800 ლარს, რაც სრულად ფარავს ყველა საოპერაციო ხარჯს, მათ შორის შრომის ანაზღაურებას (37.30%) და იჯარას (36.91%). ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია რესურსები პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სტუდენტური აქტივობებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 30 სტუდენტზე გადის, რაც დამატებით უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობასა და პროექტის მდგრადობას მცირე კონტინგენტის შემთხვევაშიც. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს, რაც გულისხმობს LMS პლატფორმისა და ციფრული რესურსების აქტიურ გამოყენებას, ასევე უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. დაწესებულებაში მოქმედებს ვერიფიკაციის მრავალკომპონენტიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების სისტემურ გადამოწმებას ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის დაცვით. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება და უწყისი ინახება სამი წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და სტუდენტის უფლებების დაცვას. პროგრამის

მუდმივი განვითარების მიზნით, კოლეჯი იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს დამსაქმებლებისა და სტუდენტებისგან, რაც იძლევა შესაძლებლობას, საგანმანათლებლო შინაარსი მუდმივად პასუხობდეს ტექნოლოგიურ სიახლეებსა და შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ პირთა საჭიროებებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების მექანიზმებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების იურიდიული მისამართის დაზუსტების საკითხზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა ყურადღება გაამახვილა ტერმინოლოგიურ შეუსაბამობაზე ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფის დასკვნებში („ბოჭორმის ქუჩა“ და „ბოჭორმას ქუჩა“). დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა, დააზუსტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ოფიციალური დასახელებაა „ბოჭორმას ქუჩა“. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული მტკიცებულება და გადაწყვიტა, გადაწყვეტილებაში დაფიქსირდეს საჯარო რეესტრში არსებული ოფიციალური მისამართი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ,,სქილვილისათვის " ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" და ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ თბილისის ლოკაციაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,სქილვილს“(ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" და ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" ქ. თბილისის (ბოჭორმას ქ. №16) ლოკაციაზე **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „სქილვილში“ (მისამართი: ქ. თბილისი ბოჭორმას ქ. №16) შემდეგ კომპონენტებსა და ინდიკატორებში: 5.1. კომპონენტში (მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა, შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის წარმოდგენა) და 5.2. კომპონენტში (საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა). ასევე, 2.2. კომპონენტში მონიტორინგი შეეხება დაწესებულების ორ პროგრამას - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი და ინფორმაციული ტექნოლოგიების

მხარდაჭერა ‘(პროგრამის განხორციელებისთვის სივრცეების საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.
საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ მონიტორინგი 5.1. კომპონენტში (მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცის მოწყობა, შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის წარმოდგენა) და 5.2. კომპონენტში (საჭირო IT ინფრასტრუქტურის მოწყობა) ჩაინიშნოს მხოლოდ ერთი წარმოების ფარგლებში.

მესამე საკითხი: შპს ,,სქილვილისათვის" ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე, საკითხების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
აღნიშნული საკითხები სხდომაზე გაერთიანებული სახით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით კუპატაძემ. იგი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2026 წლის 19 თებერვლის №191502 (ცვლილება 24.02.2026, №210161) ბრძანების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (,,ბუღალტრული აღრიცხვა"; ,ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა"; ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი"; „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის

შეფასების მიზნით. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 9 და 10 მარტს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ბუღალტრული აღრიცხვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (კოდი 0411) წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონის პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამა დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ და ხორციელდება ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა №129-ში, დისტანციური სწავლების ფორმატით, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. სასწავლო გეგმა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს 99 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 129 კრედიტითაა განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად დაუჭირა მხარი დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც გულისხმობს ორცვლიან სწავლებას და თითოეულ ჯგუფში 40 სტუდენტის განთავსებას. პროგრამის აქტუალობა დადასტურებულია შრომის ბაზრის ანალიზით, რომლის მიხედვითაც საფინანსო და სადაზღვევო სექტორი საქართველოში 14.7%-იან ზრდას აჩვენებს, რაც პირდაპირ განაპირობებს კვალიფიციურ ბუღალტრებზე მზარდ მოთხოვნას.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ეფუძნება დაწესებულებაში არსებულ მეთოდოლოგიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების ინოვაციური პრინციპების დანერგვას. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა ერწყმის კოლეჯის მისიას, რომელიც ორიენტირებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კადრების მომზადებაზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან. აპლიკანტთა შერჩევის პროცესი მოიცავს როგორც სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას, ისე მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის მაღალ ალბათობასა და სტუდენტთა მიზანმიმართულ ჩართულობას.

პროგრამის განმახორციელებელ 22 პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებულია მომსახურების ან/და წინასწარი ხელშეკრულებები, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი უძღვება მხოლოდ დარგობრივ მოდულს, 2 როგორც დარგობრივს, ასევე ზოგადს, ხოლო 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს არანაკლებ 2 განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
მატერიალურ-ტექნიკური რესურსების თვალსაზრისით, დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ინფრასტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების ეფექტიანობას. სასწავლო სივრცეში მოწყობილია სპეციალიზებული იზოლირებული სამუშაო კაბინეტები („ბოქსები“) მასწავლებლებისთვის, რაც მაღალი ხარისხის ინტერაქციული ლექციების ჩატარების გარანტიაა. მიუხედავად სწავლების ონლაინ ფორმატისა, კოლეჯი სთავაზობს სტუდენტებს ჰიბრიდულ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს მატერიალური ბაზითა და ადგილზე კონსულტაციებით სარგებლობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროცესი გამყარებულია სრული ელექტრონული ბიბლიოთეკით, LMS სისტემითა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სერვისებით.

პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და რაციონალურად დაგეგმილი ბიუჯეტით, რომელიც ფარავს პერსონალის ანაზღაურებას, პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო რესურსების განახლებას. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 20 სტუდენტით, რაც ადასტურებს პროგრამის მდგრადობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას; დაწესებულების გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს პანდუსებს, ლიფტებს, სპეციალიზებულ სანიტარულ კვანძებსა და მორგებულ ელექტრონულ რესურსებს. პროგრამის განვითარების მექანიზმი ითვალისწინებს მუდმივ უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რაც საშუალებას იძლევა, პროგრამაში ოპერატიულად აისახოს საკანონმდებლო ცვლილებები თუ დარგობრივი სიახლეები.
სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, სადაც სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და შემდგომი ვერიფიკაციის მექანიზმები, რასაც ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი. სტუდენტებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ შეფასების შედეგები ორი სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დაწესებულება ვალდებულია სამი წლის განმავლობაში შეინახოს შეფასების ყველა მტკიცებულება. სწავლების პროცესში LMS პლატფორმისა და Zoom-ის გამოყენება უზრუნველყოფს უწყვეტ კომუნიკაციას, ხოლო კარიერული ზრუნვის მენეჯერის ჩართულობა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა წარმატებულ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (სწავლის სფეროს კოდი 0612) წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონის საბაზო პროფესიულ პროგრამას. აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის მიერ და მისი განხორციელება დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა №129-ში,

იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში. პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რაც ორიენტირებულია ციფრული ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. პროგრამის აქტუალობა დასაბუთებულია ICT მიმართულებით ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზით, მსოფლიო ბანკის კვლევებითა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიით „ხედვა 2030“, რაც ადასტურებს კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე მზარდ გლობალურ და ეროვნულ მოთხოვნას.

სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 55 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 70 კრედიტს შეადგენს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია საბაზო ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია მოქმედ პროფესიულ სტანდარტთან. სტუდენტთა შერჩევის პროცესი ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მზაობის მქონე პირთა ჩართულობას. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვას, თითოეულ ჯგუფში 40 სტუდენტის განთავსებით.

პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. დაწესებულება აღჭურვილია ინტერაქციული დაფებით, უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, ქსელური მოწყობილობებითა და სტაბილური ინტერნეტით, რაც უზრუნველყოფს როგორც ონლაინ, ისე ჰიბრიდული სწავლების ეფექტიანობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ გარემოს; შენობა სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს პანდუსებს, ლიფტებსა და ადაპტირებულ სანიტარულ კვანძებს. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკა და LMS სისტემა, მუდმივად ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამის მდგრადობა გარანტირებულია 18 კვალიფიციური მასწავლებლით, რომელთაგან 13 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს ახორციელებს. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. პერსონალის შრომითი დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. პროგრამის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 20 სტუდენტით, რაც ადასტურებს პროგრამის ეკონომიკურ მდგრადობას მცირე კონტინგენტის პირობებშიც. პროგრამის მართვას კოორდინაციას უწევს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მრავალეტაპიანი მექანიზმი, რასაც ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ფორმდება უწყისებით და მათი შენახვა უზრუნველყოფილია 3 წლის ვადით. პროგრამის მუდმივი განვითარების მიზნით, კოლეჯი იყენებს უკუკავშირის სისტემას დაინტერესებული მხარეებისგან, რაც იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო გეგმაში ოპერატიულად აისახოს ტექნოლოგიური სიახლეები და შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნები. სასწავლო პროცესის მართვის წესი ასევე ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების სამართლიან მექანიზმებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ (კოდი 0416) შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონეს და ორიენტირებულია

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა №129 მისამართზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების კოოპერაციული ფორმით. სასწავლო გეგმის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 90 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 120 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც გამყარებულია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსების ადეკვატურობის ანალიზით.

პროგრამის ინიცირება ეფუძნება შრომის ბაზრის თვისებრივ კვლევასა და დაწესებულების მისიას, რომელიც მიზნად ისახავს დასაქმების ბაზრის ბარიერების დაძლევას ინოვაციური მიდგომების დანერგვით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად აჭარის რეგიონის სტრატეგიული ლოჯისტიკური მდებარეობისა, ბათუმში კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტია, რადგან მსგავს პროგრამას მხოლოდ ორი სხვა დაწესებულება ახორციელებს. პროგრამის დანერგვა მიჩნეულია სტრატეგიულ ინვესტიციად, რომელიც მოკლე ვადაში შეავსებს ბაზარზე არსებულ დეფიციტს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს პროგრესული, ტექნიკურად მომზადებული სამუშაო ძალის ფორმირებასა და დარგში საშუალო ანაზღაურების მატებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევის პროცესი მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო უნარებისა და გამოცდილების მქონე პირთა ჩართულობას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, ქეის-სტადიებს, სიტუაციურ ანალიზსა და პროფესიული როლების იმიტაციას. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნას, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას (პანდუსები, ლიფტები), ისე ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო რესურსებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. თეორიული და კომპიუტერული მეცადინეობებისთვის (A/B გარემო) კოლეჯი იყენებს თანამედროვე აპარატურით, ჭკვიანი დაფებითა და სპეციფიკური ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილ სივრცეებს. პრაქტიკული კომპონენტის (C გარემო) განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს პარტნიორული ხელშეკრულება შპს „ნოვასთან“, რომელიც მზად არის ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი და უზრუნველყოს ისინი რეალური სამუშაო პირობებითა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით LMS პლატფორმის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობასა და ეფექტიან კომუნიკაციას.

პროგრამის მდგრადობა გარანტირებულია 16 კვალიფიციური მასწავლებლით, საიდანაც 9 ზოგადი, ხოლო 7 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა უზრუნველყოფს პერსონალის ჩანაცვლებადობასა და სასწავლო პროცესის სტაბილურობას. ფინანსური თვალსაზრისით პროგრამა სიცოცხლისუნარიანია, რადგან მისი რენტაბელობის ზღვარი 20 სტუდენტზე გადის, რაც ვაუჩერული დაფინანსების პირობებში საოპერაციო ხარჯების სრულ დაფარვასა და განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას უზრუნველყოფს. პროგრამის მართვას კოორდინაციას უწევს სათანადო დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებზე. შეფასების ინსტრუმენტები გადის წინასწარ ვალიდაციას, ხოლო ხარისხის მართვის გუნდი მუდმივად ახორციელებს ვერიფიკაციის პროცედურებს სამი მიმართულებით: ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებით. სტუდენტებს აქვთ შეფასების გასაჩივრების უფლება, ხოლო დაწესებულება

უზრუნველყოფს ყველა მონაცემისა და მტკიცებულების შენახვას სამი წლის ვადით. პროგრამის განვითარების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის რეგულარულ ანალიზს, რაც პროგრამის შინაარსობრივ განახლებასა და აქტუალობას განაპირობებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ წარმოადგენს მეხუთე დონის უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას, რომელიც ხორციელდება ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა №129-ში. პროგრამა დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №1782 ბრძანებით და სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამის ძირითადი ფილოსოფია ეფუძნება ციფრული ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებზე რეაგირებას, ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტით არის განსაზღვრული, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 120 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვას, თითოეულ ჯგუფში 40 სტუდენტის განაწილებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია სრული ზოგადი განათლება, რაც ვალიდურია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან. აპლიკანტთა შერჩევის პროცესი მოიცავს როგორც სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას, ისე მოტივაციურ გასაუბრებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მზაობისა და პოტენციალის მქონე პირთა მიღებას. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მხოლოდ სავალდებულო მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით კომპონენტებს, რაც მიზნად ისახავს სტუდენტის კონცენტრირებას დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფილ ათვისებაზე.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, დაწესებულება სრულად არის უზრუნველყოფილი თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დისტანციური სწავლების ფორმატით, იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა პედაგოგებისთვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება ინტერაქციული დაფები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, სწრაფი ინტერნეტი და LMS პლატფორმა, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციასა და სწავლების უწყვეტობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ გარემოს; დაწესებულება სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას (პანდუსები, ლიფტები, სანიტარული კვანძები), ისე მორგებულ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს.

ადამიანური რესურსის მდგრადობა გარანტირებულია 25 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლით, რომელთაგან 13 ზოგად მოდულებს უძღვება, ხოლო 12 – დარგობრივს. დაწესებულებას თითოეულ მოდულზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც მინიმუმამდე დაყვანის სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. პერსონალის სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმებს. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო რენტაბელობის ზღვარი 20 სტუდენტზე გადის, რაც ადასტურებს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარების პოტენციალს მცირე კონტინგენტის პირობებშიც.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმი, რასაც ახორციელებს

სპეციალურად შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ფორმდება უწყისებით და მათი შენახვა გარანტირებულია სამი წლის ვადით. პროგრამის განვითარების მექანიზმი ითვალისწინებს მუდმივ უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და შრომის ბაზრის ანალიზს, რაც იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო გეგმაში ოპერატიულად აისახოს დარგობრივი სიახლეები. სწავლების პროცესში გამოყენებული Zoom-ის ლიცენზირებული პლატფორმა და ინდივიდუალური კონსულტაციების სისტემა უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის წინსვლასა და პროფესიულ განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს ჰქონიათ შეკითხვები.

პროგრამის სახელწოდების მოდიფიცირებისა და ტერმინოლოგიის შესახებ, საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა კითხვა პროგრამის – „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ – სახელწოდებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახელი განსხვავდება პროფესიული სტანდარტის ორიგინალი სახელწოდებისგან და დაინტერესდა, რატომ შეირჩა ტერმინი „ლოჯისტიკა“ ნაცვლად ლიტერატურულად უფრო მიღებული ფორმისა – „ლოგისტიკა“, რამაც შესაძლოა სტუდენტებში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვიოს. დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, განმარტა, რომ ცვლილების მთავარი არგუმენტი პროგრამის კომერციული მიმზიდველობის გაზრდა იყო. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულად „ლოგისტიკა“ უფრო მართებული ფორმაა, პრაქტიკოსები და დასავლური ბაზარი აქტიურად იყენებენ ტერმინს – „ლოჯისტიკა“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახელწოდების ეს ცვლილება პროგრამის შინაარსზე გავლენას არ ახდენს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა, დაამატა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული პარტნიორი კომპანია „ნოვა“ (Nova), რომლის წარმომადგენელიც ამავდროულად აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელია. სწორედ პარტნიორთან შეთანხმებითა და კომერციული მიმზიდველობის ზრდის მიზნით შეირჩა ეს ტერმინი. მან ხაზი გაუსვა, რომ კანონმდებლობა იძლევა სტანდარტით დადგენილი სახელწოდების მოდიფიცირების შესაძლებლობას, იმ პირობით, თუ იგი არ არის შეცდომაში შემყვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან მოდიფიცირებული სახელწოდება სამართლებრივად არ არის შეცდომაში შემყვანი და დანაშაულებრივ ელემენტებს არ შეიცავს, მისი გამოყენება დასაშვებია და იგი დაწესებულების კომერციული გათვლისა და გემოვნების საკითხს წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ,,სქილვილისათვის " ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,

შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,სქილვილს“ (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ,,ბუღალტრული აღრიცხვა", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება" ქ. ბათუმის ლოკაციაზე **(დანართი 4).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 აპრილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქ. №46
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	460
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

პროგრამის სახელწოდება	Front-end პროგრამირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	400
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	400
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	240
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	95
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	400
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა №16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	240
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120